

"ვიქნები მცირე და საშუალო ბიზნესისა და რიგითი მოქალაქეების დობისტი"



ეკონომიკის ახალი მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, ის პირველ რიგში მცირე და საშუალო ბიზნესისა და რიგითი მოქალაქეების დობისტი იქნება.

„მე მას შემდეგ რაც გამოცხადდა ჩემი დანიშვნა, ბევრი უცნაური სპეკულაცია მოვისმინე ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით. სიმართლე გითხრათ, სერიოზული პასუხის გაცემა არ შემეძლია. თუ გადახედავთ ჩემს შრომით ბიოგრაფიას, რომელიც საჯაროა, ნახავთ, რომ ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი ბევრ ხელმძღვანელ თანამდებობაზე როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში და ბუნებრივია, რომ ძალიან ბევრ ბიზნესმენტთან და პოლიტიკოსთან მექონდა ურთიერთობა და ეს არ უნდა იყოს სპეკულაციების საგანი.

თუ ვინმეს წარმოვადგენ მე დღეს ამ მთავრობაში, თუ ვინმეს ელოდებას მოვახდენ ამ მთავრობაში, ეს არის მცირე და საშუალო ბიზნესი, რიგითი მოქალაქეები, რომელთა გასაჭირსაც ძალიან ახლოს მივიტან გურთან. კიდევ უფრო გახსნილი იქნება ეკონომიკის სამინისტრო“, - აღნიშნა ნათია თურნავამ.